ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2410592

ნომერი: AR1372651

თარიღი : 22.01.2016

გაცემის თარიღი : 01.02.2016

გაცნობის თარიღი : 01.02.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N47 ; ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N47 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- ბულაჩაურის ქუჩა

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ბიემჯი გრუპი კოდი: 406128239

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს “თენა“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 401949978
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ხათუნა ქსოვრელი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 18001005795

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 428.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 91.7
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 337.01
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 315.77
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 21.24
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 3.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 3.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.2

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: საჯარო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით #01.13.05.003.123 მიწის ნაკვეთზე არ არის განთავსებული შენობა, ხოლო #01.13.05.003.122 საკადასტრო გეგმაზე დატანილი შენობის კონფიგურაცია არ შეესაბამება ანაზომ ნახაზებს. აღნიშნულის გათვალისწინებით გაურკვეველია სადემონტაჟო შენობის კანონიერების საკითხი. წარმოადგინეთ სადემონტაჟო შენობის მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისი დოკუმენტაცია, მშენებლობის ნებართვის შესაბამისი აქტები, არსებული შენობის კანონიერების დამადასტურებელ სხვა საბუთებთან ერთად. მხოლოდ ზემოაღნიშნული საკითხის დაზუსტების და შესაბამისი დოკუმენტაციის (მათ შორის განახლებული საკადასტრო გეგმის) წარმოდგენის შემდგომ შესაძლებელი იქნება განაცხადის განმეორებით განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

იმ შემთხვევაში თუ სადემონტაჟო ობიექტი უნებართვოდ არის აშენებული, მისი დემონტაჟი უნდა ფანახორციელოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საქალაქო სამსახურის შესაბამისი მითითებით.
ასევე სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებისას საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ იპოთეკარის, ს.ს. "საქართველოს ბანკი"–ს თანხმობა.

განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური განმეორებით განიხილავს საკითხს და დოკუმენტაციაში ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში უფლებას იტოვებს განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge